ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2465158

ნომერი: AR1381651

თარიღი : 28.02.2016

გაცემის თარიღი : 04.03.2016

გაცნობის თარიღი : 04.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლილო , ლოჭინის ხევი , (ნაკვ.05/001) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე რატიშვილი პ/ნ 01024013895
- თბილისი პეკინის გამზ. N 31"ბ" ბ. 28

ორგანიზაცია:

- შპს ემსიბი ჯორჯია კოდი: 20003786

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში დაზუსტდეს საპროექტო შენობის ფუნქცია, ხოლო „ფაილის მიმაგრება“–ს ველში აიტვირთოს AR1378187 განცხადებაზე ატვირთული გენ–გეგმა საპროექტო შენობის კონტური.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ თუ საპროექტო შენობა წარმოადგენს N 01.19.14.005.020 მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული ქარხნის მშენებლობისთვის გათვალისწინებულ დამხმარე ობიექტს, ასეთ შემთხვევაში საკითხი ვერ განიხილება შეთანხმებული პროექტისგან დამოუკიდებლად, რადგან ზემოაღნიშნული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი შენობა/ნაგებობების განთავსებას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge